სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/75

ქ. თბილისი 24 ივნისი 20

სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტისთვის დასახელების

შეცვლის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-8 მუხლის შესაბამისად,სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 22 ივლისის სხდომის №9 ოქმის საფუძველზე და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 ივნისის №01-05-02/13 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მიღებული იქნეს წინადადება სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დასახელების შეცვლის თაობაზე და ეწოდოს სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი.
2. გადაწყვეტილება დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ნ. კუტუბიძე**